# ხელშეკრულება № 19
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **01 მარტი 2012 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლა"** (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის **თამარ მაღალაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ახვლედიანი ბისი რეგისტრატორი"** (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის **ზვიად ახვლედიანის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. მიმწოდებლის ხელშეწყობით შემსყიდველის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმწოდებლის მიერ (**cpv79418000**) კონსულტაციების და მომსახურების გაწევა.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები, რაც მოიცავს შემდეგს:

ა) შესყიდვის გეგმის კორექტირება.

ბ) კვარტალური ანგარიშების მომზადება.

გ) გამარტივებული ელექტრონული ტენდერების გამოცხადება:

- ტენდერის გამოცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავება-დამტკიცება და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა;
- პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვა;
- საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადგენა;
- გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შემუშავება;

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. მომსახურების განხორციელების განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.3. მომსახურების განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელივალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი).

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. მომსახურების განხორციელების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით.

7.3 მომსახურების თანხის გადახდა მოხდება ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების განხორციელებისა, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენისას;

7.5. მიმწოდებელი "შემსყიდველს" ყოველთვიურად წარუდგენს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში მოხდება მომსახურების თანხის გადახდა.
7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას ახორციელებს თამარ მალაზონია.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ქალაქ თბილისის „ №62საჯარო სკოლა"

მისამართი: ქ. თბილისი, გ. შარტავას №20
ს/კ 211351605
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: ლიბერთი ბანკი
ა/ა GE31lb0121134002649000
ბ/კ lbrtge22

დირექტორი: თ. მალაზონია

მიმწოდებელი
შპს „ახვლედიანი ბისი რეგისტრატორი"

მისამართი: ქ. თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. №9
ს/კ 204561946
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE51BG0000000901252500
ბ/კ BAGAGE22

დირექტორი: ახვლედიანი